ჰიბრიდული საფრთხეებისა და სამოქალაქო კონტროლის სოციოლოგიური ანალიზი

სოსო მეზვრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე, სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან თარხნიშვილი ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოსო მეზვრიშვილი

26.06.19

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ,,ჰიბრიდულ საფრთხეებსა და სამოქალაქო კონტოლის სოციოლოგიურ ანალიზს“. ნაშრომში განხილულია საქართველოს და მსოფლიოს წინაშე მდგარი ჰიბრიდული საფრთხეები, თუ რა საშიშოროების მატარებელია და რა გავლენა აქვს მას საზოგადოებაზე. თემაში ყურადრება გამახვილებულია მის შეუმჩნეველ გავლენაზე საზოგადოებაში და ასევე ამ გავლენის მეთოდებზე. ამ მხრივ კი ბმა კეთდება დეზინფორმაციის დახვეწილი მეთოდების გამოყენებასა და დამუშავებულია ბოლო წლების მედიის განვითარების ფონდის კვლევები, რომელიც აკვირდება ქართულ მედია სივრცეში დეზინფორმაციის გავრცელების წყაროებსა და თავად დეზინფორმაციის შედეგად შექმნილ მითებს.

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების მხრივ კი დამუშავებულია ლიტერატურა სამოქალაქო კონტროლის ჭრილში და საუბარია მის მახასითებლებსა და დადებით გავლენებზე ქვეყანაში. ამ მხრივ სწორად არის შეფასებული სარეზერვო სისტემის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ხიდს არმიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის დადებითად გარდაქმნასა და შეიარაღებული ძალებისადმი მოქალაქეთა ლოიალურად განწყობის მოსაპოვებლად.

ნაშრომის მომზადებისას შემუშავებულ იქნა საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები, რომლის გაცნობაც შესაძლებელია თემის შესავალ ნაწილში. აღნიშნული ნაწილი პასუხობს დამუშავებული ლიტერატურის ნაწილს და კვლევის მიზანს, რომელიც დაგეგმილია ნაშრომის შესაბამისად საზოგადოებაში ჰიბრიდული საფრთხეებისადმი მიმღებლობა/მიუღებლობის შესახებ ზოგადი წარმოდგენების შესაქმნელად, ასევე დეზინფორმაციის გავრცელების დინამიკის საკონტროლებლად, რაც გვანახებს დეზინფორმაციის გავრცელების შემდგომ მისი მიმღებლობის მაჩვენებლებს. ნაშრომის ბოლო თავი მთლიანად ეთმობა კვლევის შედეგების განხილვას და საუბარია სწორედ იმ მიგნებებზე რაც გამოიკვეთა კვლევის შედეგად.

ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამაგიდო კვლევის ჩატარება საქართველოს და რუსეთის 2008 წლის ომის შესწავლისას, სადაც ნათლად იკვეთება ის

ჰიბრიდული საბრძოლო ხრიკები, რაც რუსეთმა გამოიყენა საქართველოს წინააღმდეგ აგვისტოს ომამდე. ნაშრომის ამ ნაწილში ასევე საუბარია 2008 წლის ომის საგამოძიებო დოკუმენტზე, რომელიც ტალიავინის საგამოძიებო დოკუმენტის სახელითაა ცნობილი და განხილულია აღნიშნული დოკუმეტი, სადაც ნათლად ჩნდება რუსული გავლენები და ის ბუნდოვანი მონაკვეთები, რაც გაურკვევლობას არ უნდა ბადებდეს საზოგადოებაში. ასევე მოყვანლი ის აბსურდული ბრალდებები რაც საქართველოს ხელისუფლებას ბრალდება. ამ მხრივ მნიშნელოვანია, რომ საზოგადოებამ იცოდეს აღნიშნული დოკუმენტისა და მის გარშემო არსებულ კითხვის ნიშნებზე.